2022 წლის 14 მარტი 3-წუთიანი წასაკითხი მასალა

იზაბელა უილკინსონი
მკვლევარი, საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამა

თამარ დეკანოსიძე
ადამიანის უფლებათა იურისტი

საქართველომ უნდა გააძლიეროს მდგრადობა საინფორმაციო ომის წინააღმდეგ

უკრაინაზე განხორციელებულმა თავდასხმამ აიძულა საქართველო დაეჩქარებინა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა, მაგრამ თბილისს ახლა სასწრაფოდ ესაჭიროება, რომ გაუმკლავდეს რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკას.

მოსკოვის დეზინფორმაციის ტაქტიკა მიზნად ისახავდა გამოეწვია ქაოსი, დაეთესა დაბნეულობა და პანიკა როგორც უკრაინაზე თავდასხმის წინ, ასევე უკრაინაში შეჭრის დროსაც - ცდილობდა უკრაინა წარმოეჩინა როგორც აგრესორი, დაემალა ამ კონფლიქტის შემზარავი ადამიანური ფასი და თავად სამხედრო ოპერაციების თარიღებიც კი.

ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში, აშშ-ს დაზვერვა გვაფრთხილებდა რომ კრემლი აპირებდა "ცრუ დროშის" ოპერაციის ჩატარებას, უკრაინაში შეჭრის წინაპირობის შესაქმნელად და უკრაინამ ასევე განიცადა კიბერშეტევები სამთავრობო ვებგვერდებსა და ბანკებზე, რომელთაგანაც ზოგიერთი თავდასხმის განხორციელება მიეწერა გრუს - რუსეთის სამხედრო სადაზვერვო სამსახურს.

მხოლოდ უკრაინა არაა ამ დღეში, რადგან საქართველოც მუდმივად ცდილობს გაუმკლავდეს კრემლიდან წამოსული ხანგრძლივი საინფორმაციო ომის ქარიშხალს. უკრაინაზე თავდასხმამ უნდა გვიბიძგოს მოქმედებისკენ, ვინაიდან ეს თავდასხმა გახლავთ მწარე შეხსენება იმისა თუ რამდენად ძლიერია რუსული დეზინფორმაცია.

მოსკოვის ნარატივებს საქართველოში აძლიერებენ როგორც ულტრამემარჯვენე, კრემლის მომხრე და ნაციონალისტი პოლიტიკოსები, ასევე რელიგიური ჯგუფები - განსაკუთრებით კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარკვეული წარმომადგენლები

მოსკოვის მიერ თავისი „გავლენის სფეროდ“ წოდებულ ქვეყნებში ამგვარი ოპერაციების წინააღმდეგ მედეგობის გაზრდა გახლავთ გადაუდებელი საქმე. საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან ერთად, გახდა დეზინფორმაციის სამიზნე, რომლის მიზანია

საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება ევროკავშირის (ეკ), აშშ-სა და ნატოს წინააღმდეგ, ასევე ქვეყნის მტკიცე სვლის შეფერხება ევროპული ინტეგრაციისკენ.

ხანგრძლივი საინფორმაციო ომის ქარიშხალი

რუსული დეზინფორმაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარატივი გახლავთ ადგილობრივი კონსერვატიული და ტრადიციული ღირებულებების ბოროტად გამოყენება ქალებისა და ლგბტ+ ჯგუფების მიმართ, განსაკუთრებით კი აქტივისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ. დეზინფორმაციის გავრცელება ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ, როგორიცაა აზერბაიჯანელები, ან სომხები, იგი ასევე გამოიყენება საქართველოში ეროვნული თანხმობის ძირის გამოსათხრელად.

[იხილეთ საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ მოკლე ახსნა-განმარტებითი ვიდეო (4 წთ).]

მოსკოვის ნარატივებს საქართველოში აძლიერებენ როგორც ულტრამემარჯვენე, კრემლის მომხრე და ნაციონალისტი პოლიტიკოსები, ასევე რელიგიური ჯგუფები - განსაკუთრებით კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარკვეული წარმომადგენლები. პოლიტიკოსები - როგორც ხელისუფლებიდან ასევე ოპოზიციიდანაც - სარგებლობენ დეზინფორმაციით საკუთარ ოპონენტებზე შეტევის მიტანის მიზნით.

უცხოეთიდან მხარდაჭერილი და ქვეყნის შიგნით აღმოცენებული დეზინფორმაციის ნაზავი - მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ქცეული მცდარი ინფორმაციის გავრცელების იარაღად, ან თავად შეიცავს დეზინფორმაციულ შინაარსს - არის ტოქსიკური და აბინძურებს საინფორმაციო ველს, რაც საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს დემოკრატიას, ასევე ქვეყანაში არსებულ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ამჟამად წარმოებული საინფორმაციო ომის გათვალისწინებით, საქართველოში დეზინფორმაციის გავრცელების ხელშეშლას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს შესაძლოა გამოყენებულ იქნას სუვერენიტეტის დარღვევის წინაპირობად, ამდენად პრო-რუსული ნარატივების მიმართ უნდა გაძლიერდეს მდგრადობა. ამ მავნე ნარატივების წინააღმდეგ კი ზომების არ მიღებას შესაძლოა მოჰყვეს ეროვნულ თანხმობაში უკვე არსებული ბზარების გადიდება და მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ ონლაინ და ოფლაინ ზიანის გაუარესება.

ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა კოვიდ19-ის კრიზისის დროს, რომელიც საქართველოში იქცა მავნე დეზინფორმაციის გავრცელების ნაყოფიერ წყაროდ - განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ - და გადაიქცა გადაულახავ ბარიერად ეროვნული ჩართულობის წინააღმდეგ. 2020 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც მედიაში გავრცელდა ცრუ ინფორმაცია აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიერ ვითომდაც დაწესებული შეზღუდვების

დარღვევის თაობაზე, ამან სოციალური მედიის პლატფორმებზე გამოიწვია სიძულვილის ტალღა ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, მედიასა და მთავრობას, მათ ყველას აქვს როლი და პასუხისმგებლობა ინფორმაციული ომის წინააღმდეგ მედეგობის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ მთელი საზოგადოების ერთიანი ჩართვა ბევრ წინააღმდეგობას აწყდება.

რამოდენიმე თვეც არ იყო გასული ამის შემდეგ, როდესაც მთიანი ყარაბაღის გამო ამტყდარი სომხურ-აზერბაიჯანული ომის დაწყებისას, პრორუსულმა დეზინფორმაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს ნეიტრალიტეტი, რითაც დაძაბულობა გამოიწვია სომხებსა და ქართველებს შორის, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ნდობა მოსახლეობის ამ ჯგუფებს შორის.

ეთნიკური ჯგუფები არ არიან ერთადერთი სამიზნე, რადგან თანასწორობის საწინააღმეგო დეზინფორმაციის ნარატივები, მიმართული ქალების წინააღმდეგ, ფართოდ ვრცელდება ბოლო წლებში. ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მზარდი მოძრაობის საპასუხოდ, შეიქმნა დეზინფორმაციული კამპანიები, რომლებიც თავს ესხმიან ფემინისტ აქტივისტებს, ქალთა უფლებათა დამცველებს და მათ ვინც ძალადობას გადაურჩნენ - მათი მიზანია ძირითადად ქალთა მოძრაობა წარმოაჩინონ ტრადიციული ღირებულებებსა და საქართველოს ეროვნული იდენტობის საფრთხედ.

2021 წლის ივლისში, საქართველოს ლგბტ+ ჯგუფები და ჟურნალისტები გახდნენ ძალადობრივი თავდასხმის მსხვერპლნი მას შემდეგ რაც წამოიწყო ანტიპრაიდის ღვარძლიანი სადეზინფორმაციო კამპანია, რომელიც მოდიოდა კრემლიდან და ადგილობრივი ჯგუფებიდან, მათ შორის თანამდებობის მქონე პირებიდან, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფებიდან და ეკლესიის მაღალი დონის ლიდერებიდან.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ საზოგადოებამ საბოლოოდ გაიგოს თუ როგორ ასუსტებს ეს ნარატივები საქართველოს - ქვეყნის მთავრობას არ სურს რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაცია უსაფრთხოების მიზეზების გამო, მაგრამ მაინც შესაძლებელია წინ გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ქვეყნის მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

ახალი სტანდარტები დეზინფორმაციის გავლენის შესამცირებლად

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, მედიასა და მთავრობას, მათ ყველას აქვს როლი და პასუხისმგებლობა ინფორმაციული ომის წინააღმდეგ მედეგობის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ ვინადიან არსებობს პოლარიზაცია ქართულ პოლიტიკურ ველში და ხმას ვერ აწვდიან საზოგადოებას და ვინაიდან არის დაბალი ნდობის დონე ყველა აქტორებს შორის, ამის გამო მთელი საზოგადოების ერთიანი ჩართვა ამ პროცესში ბევრ წინააღმდეგობას აწყდება.

უცხოეთიდან მხარდაჭერილი და ქვეყნის შიგნით აღმოცენებული დეზინფორმაციის ნაზავი - მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი ქცეული მცდარი ინფორმაციის გავრცელების იარაღად, ან თავად შეიცავს დეზინფორმაციულ შინაარსს - არის ტოქსიკური და აბინძურებს საინფორმაციო ველს.

თუმცა, პროგრესის მიღწევა მაინც შესაძლებელია კოორდინაციის გაუმჯობესებისა და ტექნიკური შესაძლებლობების ამაღლების კუთხით, ასევე საერთო სტანდარტების დასაცავად მედიასაშუალებებისა და პლატფორმების მიერ საკუთარ თავზე ვალდებულებების საჯაროდ აღებით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც ასევე მხარს დაუჭერს ნდობისა და ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბებას.

დეზინფორმაციით გამოწვეული საფრთხეების შემცირების მიზნით მედიის „ოქროს სტანდარტების“ კონსოლიდირებული პაკეტის შექმნა ფორმალურ სახეს მისცემს საგანგებო კოორდინაციას ყალბი ახალი ამბების ინციდენტებზე რეაგირების კუთხით, განსაკუთრებით იმ კამპანიების წინააღმეგ, რომლებიც აძლიერებენ სოციალურ ფრაგმენტაციას. ეს სტანდარტები უნდა შემუშავებულ იქნას საკონსულტაციო ჯგუფის მიერ, რომელსაც წინ გაუძღვებიან საქართველოს ძირითადი და დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები დონორების და სხვა ექსპერტების მხარდაჭერით.

ეს პაკეტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს სტანდარტების გაუმჯობესებას ეთნიკური უმცირესობების, ქალებისა და ლგბტ+ ჯგუფების შესახებ ამბების გაშუქების საქმეში. მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ჯგუფების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და ნარატივების ჩამოყალიბების საქმეში, შესაბამისად, შეუძლია მხარი დაუჭიროს საქართველოში გრძელვადიანი მდგრადობის შექმნას მავნე საინფორმაციო ოპერაციების მიმართ, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებაში ბზარების ზრდას.

სტანდარტების ჩამოყალიბება კრემლის მიერ მხარდაჭერილი დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე უმცირესობებისთვის დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა ევროინტეგრაციის მოთხოვნების შესაბამისად, წაახალისებს როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციასთან დაკავშირებული მედიის მიერ ვალდებულებების საბოლოოდ საკუთარ თავზე აღებას -მაგრამ ინიციატივა შეიძლება მცირედითაც დაიწყოს.

საერთაშორისო დონორებს ასევე შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ ამ სტანდარტების შემუშავებისათვის პლატფორმის შექმნაში, და ასევე რეგულარული ღონისძიების დაწესებაში - როგორიცაა სამიტი, ან კონფერენცია - რაც ხელს შეუწყობს ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილებას და უზრუნველყოფს იმას, რომ ამ სტანდარტებმა ასახონ საქართველოს განვითარებადი გამოცდილება საინფორმაციო ომის მიმართ რეაგირებაში.

ამ ოქროს სტანდარტებს თან უნდა ახლდეს სხვა ღონისძიებებიც, როგორიცაა ადგილობრივი მედია წყაროებისა და ჟურნალისტების პროფესიული უნარების ამაღლება, ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობა, ტექნიკური კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდა, მედია წიგნიერების გაუმჯობესება, ზომების მიღება ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული პირების დასაცავად და დისკრიმინაციის შემცირება ონლაინ და ოფლაინ რეჟიმებში, მეტი რომ აღარ გავაგრძელოთ.

ერთობლიობაში, ეს ნაბიჯები საქართველოს საზოგადოებას უფრო წინ წაწევს მეტი მდგრადობისაკენ და უფრო დაცულს გახდის კრემლის მიერ მხარდაჭერილ დეზინფორმაციასთან მიმართებაში. უკრაინის კონფლიქტში ინფორმაციული ომის მიზანმიმართულმა გამოყენებამ საქართველო უნდა გამოაღვიძოს, რათა სასწრაფოდ დაიწყოს თავისი მოწყვლადობის შემცირება რუსეთიდან მომავალი დეზინფორმაციის მიმართ.

2021-დან 2022-წლამდე ჩატამ ჰაუზის კვლევის სამსახურმა შეადგინა გავლენის რუქები, ჩაატარა ვორქშოფები და სიმულაციური სავარჯიშოები წამყვანი დაინტერესებული მხარეებისათვის მთავრობიდან, მედიიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან, რათა მოემზადებინათ რეკომენდაციების კრებული, რომელთა მიზანიცაა საქართველოს მდგრადობის გაძლიერება დეზინფორმაციის შედეგად შექმნილი საფრთხეების მიმართ.